შეთანხმება სლოვენიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

სლოვენიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, შემდგომში ,,ხელშემკვრელ მხარეებად'' წოდებულნი,

- მხედველობაში იღებენ რა მშვიდობის, ნდობისა და სტაბილურობის გაძლიერების, ასევე ევროპის სახელმწიფოებს შორის და მთლიანად მსოფლიოში ურთიერთობების გაღრმავების საკითხებში წვლილის შეტანის აუცილებლობას; და მოქმედებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ჰელსინკის დასკვნითი აქტის, ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიისა და ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ შეთანხმებისა (PfP SOFA) და მისი დამატებითი ოქმის პრინციპების სულისკვეთებით,
- დადებითად აფასებენ რა მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესებს, რაც ასახავს პატივისცემისა და ნდობის საფუძველზე ურთიერთსარგებლობისა და თანამშრომლობისაკენ მისწრაფებებს,
- აღიარებენ რა უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მშვიდობის გაძლიერების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს,
- მიზნად ისახავენ რა ხელშემკვრელ მხარეებს შორის თანამშრომლობის მიმართულებების გრძელვადიან დაგეგმვასა და განსაზღვრას,
- დარწმუნებულნი არიან რა, რომ ორმხრივი კონტაქტების განვითარება გამოიწვევს ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების გაღრმავებას,

თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1
შეთანხმების მიზანი

წინამდებარე შეთანხმების მიზანია მხარეებს შორის, კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის საფუძვლების განსაზღვრა.

მუხლი 2
შეთანხმების სტატუსი

ხელშემკვრელი მხარეები წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ახორციელებენ თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპის საფუძველზე.

წინამდებარე შეთანხმების დებულებების იმპლემენტაციას ხელშემკვრელი მხარეები ახორციელებენ თავიანთი სახელმწიფოების საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დაცვით, მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3
თანამშრომლობის სფეროები

1. ხელშემკვრელი მხარეები მათი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად და მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობენ შემდეგ სფეროებში:

- თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა;
- სამხედრო ეკონომიკური და სამხედრო ტექნიკური საქმიანობა;
- სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის განათლება და წვრთნა;
- სოციალური, სპორტული და კულტურული საქმიანობა;
- თავდაცვის შესახებ კანონმდებლობა;
- თავდაცვის ინდუსტრია;
- თავდაცვითი-სამეცნიერო საქმიანობა;
- სამხედრო მედიცინა;
- სამხედრო გეოგრაფია;
- ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ღონისძიებები;
- შეიარაღების კონტროლი და განიარაღება;
- ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის'' პროგრამის (NATO PfP) ღონისძიებებში ერთობლივი მონაწილეობა;
- ჰუმანიტარული და მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციები;
- თავდაცვის ლოგისტიკა;
- გარემოს უსაფრთხოების საკითხები;
- სარეაბილიტაციო, დასვენების, სოციალური, კულტურული და სპორტული აქტივობები;
- სამხედრო ისტორია, ჟურნალისტიკა და მუზეუმები;
- საერთო ინტერესების სხვა სფეროები.

2. წინამდებარე შეთანხმებაში გათვალისწინებული სფეროები შეიძლება გაფართოვდეს ან შეიზღუდოს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

3. წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესრულებისა და ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ სფეროებში თანამშრომლობის იმპლემენტაციის მიზნით მხარეებს შეუძლიათ გააფორმონ ცალკეული შეთანხმებები.

მუხლი 4
თანამშრომლობის ფორმები

ორ მხარეს შორის თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგი ფორმებით:

- ოფიციალური ვიზიტები და სამუშაო შეხვედრები;
- გამოცდილების გაზიარება და კონსულტაციები;
- სასწავლო პროექტებში, გამოსაცდელ სასწავლო პერიოდებში, საკვალიფიკაციო კურსებში მონაწილეთა გაცვლა;
- წვრთნებში ერთობლივი მონაწილეობა;
- მხარეების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში, კურსებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეთა გაცვლა;
- საერთო ინტერესის შემცველი ინფორმაციის გაცვლა;
- კონცერტები, გამოფენები, ფესტივალები და სხვა კულტურული ღონისძიებები.

მუხლი 5
პერსონალის სამართლებრივი სტატუსი

პერსონალის სტატუსი რეგულირდება ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ 1995 წლის 19 ივნისს ქ. ბრიუსელში ხელმოწერილი შეთანხმებით.

მუხლი 6
ყოველწლიური დაგეგმარება

წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ დაამტკიცონ თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ ყოველწლიური გეგმები შემდეგი წესით:

- ყოველ წელს 15 ოქტომბრამდე ხელშემკვრელი მხარეები ათანხმებენ თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ ყოველწლიურ გეგმას.
- თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ ყოველწლიური გეგმაში გათვალისწინებულია აქტივობის შინაარსი, მისი ფორმა, განხორციელების დრო და ადგილი, პასუხისმგებელი უწყებები, პირთა რაოდენობა, ასევე აქტივობის ორგანიზებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.
- შეთანხმების შემდეგ თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ ყოველწლიურ გეგმას ხელს აწერენ ხელშემკვრელი მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები იმ კალენდარული წლის 15 დეკემბრამდე, რომელიც წინ უსწრებს გეგმით გათვალისწინებულ წელს.

მუხლი 7
ფინანსური საკითხები

წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობის ყველა სახის აქტივობის განხორციელებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები დაიფარება ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 8
საიდუმლო ინფორმაციის დაცვა

მხარეები მათი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით უზრუნველყოფენ მათთვის ორმხრივი კონტაქტებიდან გამომდინარე ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და მონაცემების დაცვას.

თანამშრომლობისას დამუშავებული ინფორმაციის, დოკუმენტების, მეთოდების ან ტექნოლოგიების დროებითი ან საბოლოო კოპირება, ტრანსფერი ან გადაცემა მესამე პირებისთვის დასაშვებია მხოლოდ სხვა ხელშემკვრელი მხარის წერილობითი თანხმობით.

მხარეები თანხმდებიან, რომ შემდეგი საიდუმლოობის გრიფები უთანაბრდება და შეესაბამება მათი სახელმწიფოების მოქმედი კანონებითა და რეგულაციებით დადგენილ საიდუმლოობის გრიფებს:

სლოვენიის რესპუბლიკა	საქართველო	ინგლისური ეკვივალენტი
STROGO TAJNO	განსაკუთრებული მნიშვნელობის	TOP SECRET
TAJNO	სრულიად საიდუმლო	SECRET
ZAUPNO	საიდუმლო	CONFIDENTIAL
INTERNO	შეზღუდული სარგებლობისთვის	RESTRICTED

წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად მიღებულ საიდუმლო ინფორმაციას ენიჭება ისეთი ექვივალენტური საიდუმლოობის გრიფი, რაც შეესაბამება მიმწოდებელი მხარის მინიჭებულ საიდუმლოობის გრიფს. მხარეები უზრუნველყოფენ ასეთი საიდუმლო ინფორმაციისათვის იმავე ხარისხის დაცულობას, როგორითაც უზრუნველყოფილია ექვივალენტური საიდუმლოობის გრიფის მქონე მათი სხვა საიდუმლო ინფორმაცია.

საიდუმლო ინფორმაციის დაცვის შესახებ ორმხრივი შეთანხმების გაფორმების შემდეგ, მისი დებულებები გამოყენებული იქნება მიღებული საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნით წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად.

საიდუმლოობის უზრუნველსაყოფასთან, ასევე ასეთ ინფორამციასთან, ტექნიკური საშუალებებთან, აღჭურვილობასა და მასალებთან დაკავშირებული ხელშემკვრელ მხარეთა ვალდებულებები ძალაში რჩება წინამდებარე შეთანხმების შეწყვეტის შემდეგაც, სანამ მათი წარმდგენი ხელშემკვრელი მხარე არ გაათავისუფლებს სხვა ხელშემკვრელ მხარეს ამ ვალდებულებისაგან.

მუხლი 9
დავები

წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა მოგვარდება მხარეების შორის მოლაპარაკების გზით.

მუხლი 10
დასკვნითი დებულებები

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ბოლო წერილობითი შეტყობინების მიღების დღეს, რითაც ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს ატყობინებენ ძალაში შესვლისთვის აუცილებელი შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების თაობაზე.

წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებები შედის ორივე მხარის წერილობითი თანხმობით. ასეთი ცვლილებები წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

წინამდებარე შეთანხმება იდება 5 წლით და ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო 5 წლის პერიოდით, თუ რომელიმე ხელშემკვრელი მხარე სულ მცირე ექვსი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს მის განზრახვას შეთანხმების შეწყვეტის

შესახებ. შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები თანამშრომლობენ დაუსრულებელი საკითხების საუკეთესო გზებით გადაწყვეტის მიზნით.

ხელმოწერილია _____ _____ ორ დედნად სლოვენიურ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ყველა ტექსტს თანაბარი ძალა აქვს. განმარტების სხვადასხვაობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ვერსიას.

სლოვენიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სახელით	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელით
ანდრეა კატიჩი	თინათინ ხიდაშელი